

ო უ ხ ე თ ი ს გ ე ნ ე რ ა დ ლ ხ უ ხ მ ტ ი ნ მ ს

რ მ გ მ რ მ ღ ვ ა შ უ ა

ჩ ა ვ ა რ ე თ ი ს მ ე ვ ე ს რ მ ლ მ ა მ ნ ბ მ ე რ ა რ ე


34044

%. 3030619162



თ ბ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ბ ა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“ პ ი ტ ნ ა ვ ა ს ი, გ რ ა ფ ი ს ქ უ ჩ ა, № 10
1920.



სოლომონ იმერთა მეფე როვორ შოთაყუა რუსის ექიმიან სუხოტინმა

ეკატერინემ, რაკი მეფე ერეკლე ვერა ღონისძიებით ვერ ჩაიგდო ხელში და ჭართლ-ჯახეთის სამეფო ვერ დასცინცლა, ბოლოს თავის პოლიტიკა შესცვალა და მეფე ერეკლეს გარდა იმერეთის მეფე სოლომონსაც დაუწყო მცლურის თვალით მზერა.

ამ გარემოების ცნობები ეკატირინეს გენ. ტოტლებენმა და ლვომაც აცნობეს. ამათ აუწყეს, რომ საჭართველოში იმდენად მეფე ერეკლე არ არის ძნელი მოსატყუებელი და დასაყოლიერებელი, როგორც იმერთა მეფე სოლომონი. ბევრჯერ იყო ისეთი შემთხვევა, რომ მეფე ერეკლესთან ჩვენგან გაკეთებული საქმე სოლომონ მეფეში ჩაშალა და მით ჩვენი საქმეც დაიკარგა.

ამიტომ საჭირო არის, რომ ერთსა და იმავე დროს ჩვენ ვსცდილობდეთ როგორც ერეკლე მეფის წინაშე, ისევე სოლომონ მეფისათ. ამ დარიგებას ეკატერინემ ჯეროვანი ყურადღება მიიჭირა და მალე მის სამზადისაც შეუდგა. პირველი ამის ცდა იყო ისეთ ჭართველთა გაცნობა. რომელნიც ეკატერინეს იმერეთის მეფეს და მთლაც იმერეთის ერსაც კარგად გააცნობდნენ, ამის შემდეგ თვით ეკატერინე დაფაცურდებოდა საქმის გასაწალდათ, ესეც მალე მოხდმ და ამათის დახმარებით ეკატერინემ იმერეთის მეფის სოლომონის ყოველისფერი კარგად

შეიტყო და შემდევ თავის გველური პოლიტიკის
შესრულებასაც შეუდგა.

ეკატერინემ დაიწყო სანდო კაცების ძებნა და
მაღა იპოვნა გენერალი სუხოტინი. ამ გენერალს
ეცნობა ეკატერინეს წადილი საქართველოს შესახებ,
როგორც წმინდა რუსს გენერალს, ეკატერინეს პო-
ლიტიკა საქართველოს დასაჭერად დიდათ მოეწონა,
ყველაფრის შესახებ ეკატერინეს ქება უთხრა და
თვითაც დაპირდა ამ საჭირო საქმეში მონაწილეო-
ბის მიღება.

გენერალ სუხოტინს ეკატერინეს დავალება დი-
დათ მოეწონა, ნამეტურ კარგმა მოწყალებამ და ჩი-
ნების დაპირებამ უფრო გაახარეს, ამიტომ გენერა-
ლმა ეკატერინეს დავალების აღსრულების იმედიც
მისცა. სუხოტინის თანხმობა ეკატერინეს მოეწონა,
მით უფრო რადგანაც ეკატერინემ სუხოტინს თავის
სულის საიდუმლოების მოწონება ცხადად შენიშნა.

ეკატერინე დარწმუნდა მაღა, რომ მის დავა-
ლებას სუხოტინი უსათუოდ ყველაფერს შეასრულე-
ბდა, მის ნატვრასაც სწორედ ეს შეადგენდა — ასე-
თი გენერლის პოვნა და საქმეში ჩირევა. ამიტომაც
ამ გენერალს ეკატერინე უფრო გულისყრიანად
მოექცა, თან დიდს დახმარებას, დიდს ჯამავირს და
ჩინებსაც დაპირდა — ოლონდ კი შენ ჩემი ნატვრა
შეასრულე და მდიდარი საქართველოს პატრიონი
გამხადეო.

ასეთ დაპირებასთან ერთად ეკატერინემ გენე-

რალ სუხოტინს თავის საკუთარი ფულის ხაზინაც გაუხსნა. ნათქვამია — „ქურდს რა უნდოდა და ბნელი ღამეო“ — სუხოტინსაც ეს უნდოდა, რაკი ეკატერინესაგან ასეთი მოწყალების და ბედნიერების იმედი შეიტყო, მის შემდეგ უფრო მხნედ მოიქცა, დროით ნახა გრაფი ტოტლებენი, გენერალი ლვოვი და მათგან შეეტყო ყოველივე თუ იგი ორგორ უნდა მოქცეულიყო ერეკლე ან სოლომონ მეფის წინაშე, რომ მის სმშელებით. რაც შეიძლება უფრო მაღე შეესრულებინა თავის სვავი ხელმწიფის ნატევრა.

ასე გამოწვრთვნის და მომზადების შემდეგ სუხოტინი მოეწყო საქართველოში წამოსასვლელიდ ამ ახლად გაჩენილმა მგელმა თავის გზის მაჩვენებელს ტოტლებენს სოხოვა და ტოტლებენიც დასთანხმდა საქართველოში გამოჰყოლოდა დამრიგებლად. ზოგნი სუხოტინის გზის მაჩვენებლად გენერალ ლვოვსიც ახელებენ, სუხოტინი თურმე ეკატერინემ ისეთ სანდო პირად იცნა, რომ მას ორი ტენერალი გამოატანა თანა. ესენი იყვნენ გენ. გრაფი ტოტლებენი და გენ. ლვოვი და ესენი ერთათ ჩამოვიდნენ საქართველოში.

პირველად ესენი ქუთაისში ჩამოვიდნენ და სოლომონ მეფეს ესტუმრნენ. ერთ დღეს მეფე სოლომონს სამი რუსის გენ. ერთად წარუდგნენ. ტოტლებენმა და ლვომა მეფე სოლომონს გადასცეს ეკატერინესმგან გამოგზავნილი ფეშქაშები და თან

დავალებაც. იქვე დიდის ამბით გაიცნეს გენ. სუხო-
ტინი. ტოტლებენმა მეფე სოლომონის წინაშე თავი
საქართველოს შესახებ უკოდველად აღიარა, ამას
ლვოვიც დაემოწმა. ტყუილის ამბებით მეფე სოლო-
მონი ისე მოხიბლეს, რომ მათ რაც სურდათ სუ-
ხოტინს ის ნდობა და პატივისცემა მოუპოვეს მე-
ფის წინაშე.

იმერეთიდან ესენი ტფილისში ჩამოვიდნენ და
ერთ მშვენიერ დღეს მეფე ერეკლეს წარუდგნენ და
თან გადასცეს ეკატერინესაგან გამოგზავნილი ძვირ-
ფასი საჩუქრები და დანაბარები ამბები. ამის შემ-
დეგ მათ საქართველოს გამო მეფის წინაშე თავი
იმართლეს. აქაც მეფე ერეკლე ტყუილის ამბებით
ერთობ მოხიბლეს და ერეკლემ მათი ყველაფერი
იჩწმუნა. აქაც გენერლებმა სუხოტინი ერეკლეს
დიდის პატივისცემით და თავაზით გააცნეს და მე-
ფებაც ესიამოვნა მისი გაცნობა.

სამივე გენ. ტფილისში რამდენსამე ხანს დარ-
ჩნენ და შემდეგ გენ. ლვოვმა მეფე ერეკლეს აუწ-
ყა, რომ თქვენი და მეფე სოლომონის შესახებ მე-
ეკატერინეს დიდი მოხსენება გაუგზავნე და გაცნობე
თქვენი ერთგულობაო. ეს ამბავი ამათ მომხრებმა
იმერეთშიაც გადაიტანეს და სოლომონ მეფესაც
აცნობეს. რომ გენერალმა ლვოვმა ეკატერინეს
თქვენს შესახებ ასეთი ქება მისწერაო.

ამ ამბით მოხიბლულ იქმნა ერეკლე მეფე და
სოლომონიც. სწორედ ესევე მომხიბვლელი ამბავი

სარწმუნოდ მიუღია მეისტორიე ომან ხერხეულიძეს
და ის მეუე ერეკლეს ცხოვრების აღწერაში აი
რასა წერს:

„ლვოვმან ივან ლავრენტიჩმა აცნობა ეკატე-
რინე იმპერატრიცას ერთგულება მეფესთ ერეკლესი
და მეფისა სოლომონისა, ხოლო შემდგომად ამისა
იმპერატრიცამ წარუგზავნა ღენერალ-მაიორი სუხო-
ტინი და დაიბარა გრაფი ტოტლებენი.“

ტოტლებენი, ლვოვი და სუხოტინი საქართვე-
ლოში ერთად მოვიდნენ, რომ იმით მათ მოეხიბ-
ლათ მეუე ერეკლე და სოლომონი და მასთან გენ.
სუხოტინის მოქმედებისთვის კარგი ნიიდაგი მოემ-
ზადებინათ, რომ ახლა მაინც შესაძლო გამხდარიყო
გენერალ სუხოტინის დახმარებით საქართველოს
დასამარება, ნამეტურ კი უნდოდათ სოლომონ მე-
ფე მოეტყუილებინათ და ამით მისი ჯარიც როგორმე
მოესპოთ.

ლვოვისაგან ერეკლეს და სოლომონის ერთ-
გულებაზე წერილის მიწერა, ტოტლებენის დაბარე-
ბა, სუხოტინის დანიშვნა და სხვაც ასეთი სულ ჯა-
დოქარობა იყო და იქითკენ იყო მამართული, ~~მამა~~
გენ. სუხოტინის საქმე გაკეთებულიყო, რომ სათინა-
საშუალებით მას ერთობ ადვილად შესძლებოდა დი
ერეკლე მეფის ან სოლომონ მეფის მოტყუილება
და მით სოლომონ მეფის ჯარის გაწყვეტა. ყოვლი-
ვე ეს ცნობები სულ ამ ბოროტებაზე არის აშე-
ნებული.

მართლაც, ტფილისიდან ტოტლებენი რუსეთში მიემგზავრება, მის მაგიერ გენ. სუხოტინი რჩება ტფილისში და ის აღევნებს ოვალყურს მეფე ერეკლეს მოქმედებას. მცირე ხანს შემდეგ გენ. სუხოტინი და ლვოვი იმერეთში წავიდნენ, მალე ჩავიდნენ ქუთაისში და სოლომონ მეფის წინაშე დაიწყეს მოქმედება და მეცადინეობა. წინეთ თუ სუხოტინს სოლომონ მეფის წინაშე გენ: ტოტლებენმა გაუკეთა საქმე, ახლა ლვოვმა დაუწყო ქება და დიდება სუხოტინს. მოეწყო საქმე ისე, რომ მალე სუხოტინი მეფე სოლომონის წინაშე ანგელოზად იქმნა მიღებული. ამის შემდეგ ლვოვიც გიახლათ რუსეთში და იმერეთში, მეფე სოლომონის კარზე დარჩა მხოლოდ გენერალი სუხოტინი.

გენერალი სუხოტინი შეუდგა თავის ხელმწიფის დავალების შესრულებას და მით სოლომონ მეფის დაღუპვას, იმერეთის ჯარის ამოწყვეტას. მინამ იმერეთში დაიწყებდა გველობას, მან მეფე ერეკლესაც ახედა და დახედა, მაგრამ საიმედო ვერა დაინახა-რა, რადგანაც იფიქრა ეს მეფე ბოლოს სოლომონს მეფეს შეეკითხება და ის კიდევ ჩაშლის ჩვენს საქმესო. თუმცა ეს სვავი მეფე ერეკლეს კარზე იმასაც კი ეცადა დიდად, რომ ერეკლე მეფე რამე ხიფათში ჩაეგდო, მაგრამ ვერც ეს მოახერხა. ამიტომაც ეს სვავი ტფილისს მოსცილდა და იმერეთში გადასახდლა, ერთ დღეს სოლომონ მეფესაც წარუდგა და უამბო მეფე ერეკლეს შესახაბ ბევრი

რომ ისეთი ამბები, რითაც მან სოლომონის შინაშე
დიდი ნდობაც გაიკეთა. ამ გველმა ისე მოაწყო სა-
ქმე, რომ სოლომონ მეფე მაღვ სუხოტინის დიდი
პატივისმცემელი გახდა. სუხოტინსაც ეს უნდოდა,
გენ. ისე მოაწყო საქმე და მეფის შინაშე ისე და-
ტრიალდა, რომ ერთ დღეს მეფე სოლომონის ში-
ნაშე წარსდგა და შემდეგი მოახსენა, რაც ცხადათ
აქვს ანუსხული თვით გენ. დავით ბატონიშვილსაც.

— თქვენო უმაღლესობაც. თქვენ რომ კეთილ-
ინებოთ და მე იმერეთის ჯარით დახმარება მომ-
ცეთ, მაშინ მე ვეცდები, რომ თქვენის სამეფოს სა-
ზღვრებილან ოსმალთა ჯარი სულ გავდევნოთ და
თქვენი ქვეყანაც მათ ზედამხედველობისაგან გავან-
თავისუფლო და თქვენც თავისუფალი ბრძანდებო-
დეთ მათგან.

ასეთ თათბირის გამო მეფე სოლომონს გაახსენ-
და გრაფი ტოტლებენი, გენ. ლვოვი და სხვანი;
მეფისაგან უამისობა არც შეიძლებოდა, რადგანაც
იგი ერთობ ფრთხილი კაცი იყო. ეს იჭვნეულობა
მეფე სოლომონს სუხოტინმა კარგად შენიშნა. ამი-
ტომ ამ სვამი მეფეს გაახსენა ტოტლებენის და
ლვოვის ბოდიში და თავის გამართლება მათს წინა-
შე. მეფესაც გაახსენდა ტოტლებენი და ლვოვი
და მით დაშოშმინებულ იქმნა, მეფე სოლომონს
ჯუსეთის ღალატის ყველაფერი დაივიწყა ტოტლებე-
ნის და ლვოვის თავის გამართლებამ.

მცირე ხნის შემდეგ სუხოტინმა კვალად გაახ-

სენა მეფე სოლომონს წინანდელი მიმართვა და იმე-
რეთიდან ოსმალთა განდევნაზე დაპირებანი, ბევრის
თაობირის შემდეგ ვენ. სუხოტინმა სოლომონ მეფე
სასტიკად მოხიბლა, ამ გველმა თავის გაიძვერაობით
სოლომონ მეფე, ეს ჰქვიანი და ფრთხილი კაცი
მოლად ხელში ჩაიგდო და ბოლოს, როგორც იქმნა,
მეფე დაიყოლია ოსმალებზე გასაღაშქრებლად, ამის-
თვის შეუდგენ იმერეთის ჯარის შეკრას და სამზადისს.

— ბატონო შეფერ, თქვენ ინებეთ მარტო ჯა-
რის ბოძება, სხვა რამ დახმარება თქვენი უმაღლე-
სობისა ჩვენთვის საჭირო არ არის. თვით თქვენი
წამობრძანებაც არ არის საჭირო. მთავარსარდლობას
ჩვენ გავსწევთ. ამისთანა საჭმის შესრულებით მე
დიდი სურვილი მაქს, რომ თქვენს უმაღლესობას
რამე სამსახური ვაჩვენოთ და ამით თქვენს ქრისტია-
ნობასაც დახმარება გაუუწიო. მაქს იგრეთვე დიდი
სურვილი, რომ მე ჩემის ცდით თქვენს ქვეყანასაც
რამე აღგილები შვეძინო და სიკეთე ვქნა... ჩვენი
ხელმწიფის სურვილიც ეს გახლდათ წინეთ და ესე-
ვე გახლავთ დღესაც, თვით მეც ეს დავალება მო-
ცა, რადგანაც მას თქვენი ქვეყნის დიდი სიბრალუ-
ლი აქს, თქვენი ქვეყანა საქრისტიანო ქვეყანა
არის და დიდი ცოდვა გახლავთ, რომ იგი თათრე-
ბის მიერ იყოს დამონცებული. ასე რომ ჩემი გალა-
შქრება პირდაპირ ჩვენი ხელმწიფის წადილია და
ჩვენგან კიდევ მისი წადილის შესრულება გახლავთ.
ბევრის მელურის დალოლიავების შემდეგ სო-

ლომონ სეფე ერწმუნა სუხოტინს და გადასწყვიტა
გენ. დავალების შესრულება და ჯარის ბოძება. მა-
ლე ამის ბრძანებაც გამოიცა და შეკრილ იქმნა იმე-
რეთა მეფე სოლომონის ლაშქარი. ჯარი მოიკრიბა
30 ათასამდე კაცი და 5 ათასი კაცი ლაშქრათ მსა-
ხურნი. ყველა ესენი აღვსილ იქმნა იარაღით და
ებოდა გენერალ სუხოტინს.

გენერალი სუხოტინი ქართველების და თავის
ჯარით, მალე მოეწყო. მოემზადა და 1779 წ. გაეშ-
გზავრა ფოთისაკენ საბრძოლველათ. ამ გალაშქრე-
ბის შესახებ დავით ბატონიშვილი სწერს შემდეგს:

„სუხოტინი ღენერალი შდავიდვ ფოტს (?) და
სურდა დაპყრობა მისი, მტერსა ვერ უძლო და
უკუ მობრუნდა იმერეთსა, ეს არის, ეს ორიოდე სიტ-
ყვა გახლავათ ამ ბოროტების შესახებ დარჩენილი,
ისიც ვისგან დაწერილი, რუსეთის გენერილ ლეი-
ტენიტისაგან, დავით გიორგის ძისაგან, რომელმაც
თავს სამეფო გენერლობაზედ გაცვალა და რომე-
ლიც გადაგვარებულიც იყო. მეტი რა გზა არის.
ჩვენც ეს უნდა ვიკიმაროთ დაამავ დავითის ცნობე-
ბით უნდა ვისაუბროთ ამ დასალუპს დიდს ბოროტე-
ბაზედ, ამ სამწუხარო გარემოების შესახებ ჩვენი ის-
ტორია ერთობ მდუმარებს. ესეც საკვირველია, რომ
ამ გველური ბოროტების შესახებ ან დავით ბატო-
ნიშვილმა დასტოვა ეს ცნობები ამ ბოროტების შე-
სახებ და ასევე სხვა ცნობანიც, ესეც საკვირველია
ამისაგან, რადგანაც ეს გადაგვარებული ცხოველი
იყო და მასთან მეტად უნიჭოც.

სუხოტინის ბოროტების შესახებ ჩვენ ბევრს არ ვილაპარაკებთ; თვით მისი ცნობები გამოაჩენს თუ იგი რა უნდა ყოფილიყოს და ან მას რა დიდი მნი-შვნელობა ურდა მიეცეს საქართველოს ისტორიაში. იმერეთის შეკრებილ ჯარს ქუთაისში, ერთ ალაგას მეფე სოლომონი დახვდა და სიტყვა უთხრა მხედრო-ბას, შეაქმ იგინი და შეაქმ რუსის გენერალი სუ-ხოტინი, რუსის მოსული ჯარი და ეკატირინე ხელ-მწიფე, სუხოტინიც ამას ნეტრობდა.

შემდგომ ამის მოხდა ეს, სუხოტინი მალე ჩა-ვიდა ფოთში და აღნიშნულ დღეს ომიც იქმნა და-წყობილი. სუხოტინმა ომში მოწინავე ჯარათ სულ ქართველები დააყენა და რუსები კარგა მოშორებით დააყენა ზარბაზნების მსროლელათ. ამის მიზეზათ მან ის გამოაცხადა ჯარში. რომ ზარბაზნები ფეხო-სან ჯარზე კარგა შორს უნდა იდგესო. იმერწიც დაემონენ გენერალს.

ომის პირველ დღესვე ოსმალებმა გაიმარჯვეს, რადგანაც მათ უფრო კარგი სამზადისი ჰქონდათ, სამი დღის განმავლობაში ოსმალებთმა ქართველი ჯა-რი სულ მოსპეს, ამ დროს, გენერალ სუხოტინმა თავის ჯარი უკინ დასწია და ომი გააჩერა, იმავ დღის სალამო უამს ფოთიდან რუსის ჯარი ქუთაისი-საკენ გაიპარა და მალე ქუთაისში ჩავიდა დამარ-ცხებული და იმერთა ჯარით გაწყვეტილი.

დამარცხების ამბავი მეფეს მალე აცნობეს, მე-ფეს დიდათ ეწყინა და გენერალს საყვედური უთხ-

რა, მე არ ვიცოდი თუ ასე მოხდებოდა, თორემ მე იმერეთის ჯარს თქვენ არ მოქცემდით. მე ამის არ ვიცოდი, ეს ჩემი ქვეყნის დიდი ზარალია და დაღუპვა.

ასეთი შენიშვეების და საყვედურების შემდეგ გენ. სუხოტინმა მოიკრიბა კიდევ თავისი გველური პოლიტიკა და მეფე სოლომონს დაუწყო ფლიდურათ ლაპარაკი და თავის გამართლება ასე:

თქვენო უმაღლესობავ, მართმლია თქვენი ჯარი სოისპო, მაგრამ მის ნაცვლათ თქვენ და თქვენ ქვეყანას თავიდან აცდა ოსმალოს ჯარის შემოსევა და მთელი თქვენი სამშობლოს აოხრება, ქალაქების დაქცევა და ხალხის გაულეტა. ოსმალებს ჩვენ კარგ დროს მივასწარით, ფოთში დიდი ძალი ჯარი ჰყოლოდათ მოყვანილი და იგინი თურმე ფიქრობდნენ, რომ მთელი იმერეთი უნდა დაეჭირეთ და თქვენი სამეფოც მოეშალათ.

მართალია ჩვენ მოვისპენით, მაგრამ მიტომ მათი მხედრობაც მოვსპეთ და ამ გსით თქვენ ქვეყანას თავიდან ავაცდინეთ უბედურებანი. დღეს ისინი იშერეთში ადვილათ ფეხსაც ველარ შემოდგამენ, მხოლოდ თქვენ უნდა იქონიოთ ფხიზელი მხედველობა, ამას გარდა უსათუოთ მეფე ერეკლეს და ეკატერინესაც შველა უნდა სთხოვოთ, რომ ჯარი მოგვაშველონ და ამით უზრუნველი ჰყოთ თქვენი სამეფო და ტახტი. ერეკლე მეფეს თქვენ გაუგზავნეთ კაცები და ეკატერინესა და პატიომკინთან მე გიახლებით და მე ვაუწყებ თქვენს დავალებას და ოხოვნას.

ამ ბოროტმა გენერალმა ასე მოატყუილა მეფე სოლომონი. თავის ბოროტებაში ხელები დაიბანა და მეფის სოლომონის წინაშე ანგელოზათ გამოვიდა. მაგრამ ამან თავის ბუროტება და გველობა არც შემდევისათვის დასტოვა, ნათქვამია: — „გველს აბა ვინ ეტყვის, გველო რათა ხარ ჭრელიო“ სუხოტინიც ასე იყო. ასე მოატყუილა სოლომონ მეფე და ასეთივე მოტყუილება არც შემდევ დროისათვის მოაკლო.

ასეთი უბედურება არ აკმარა მეფე სოლომონს ამ გველმა და იმავე დავითის და ბაგრატის ცნობით, გენერალი თავის ჯარით მალე წავიდა რუსეთს და მგზავრობის დროს, იშოვნა სანდო კაცები და ოსმალთ შეატყობინა საიდუმლოთ და მოტყუილებით რასაკვირველია იმერეთის დასაღუპათ, რომ სოლომონ მეფე ოსმალებზე ძრიელ გულ მოსული იყო. ეხლა ოსმალთა საწინააღმდეგოთ მან რუსეთის ეკუტერინა იმპერატორიცას მიმართა და მოციქულათ თვით რუსის გენერალი სუხოტინი გაუგზავნაო. სუხოტინს ამისთანა დაბეჭდებით აი რის იმეტი ჰქონდა

იმერეთის მეფეს ეხლა ჯარი აღარ ჰყავს, მე ჩემის ჯარით იმერეთიდამ რუსეთში მივდივარ.

ამიტომ ოსმალეთი იმერეთს თავისუფლად შემუსერიან, აიკლებენ ქალაქებს, დახოცავენ ხალხს, მოშლიან სოლომონ მეფის ტახტს და მაშინ სოლომონს ორში ერთი დარჩება, ან დახმარების ძებნა

და ეკატერინესთან მიმართვა შველის სათხოვნელად
და ან სამუდამოთ იმერეთის სამეფოს დაკარგვა. ასე
დაიმშვიდა გენერალმა გული და ასეთის საიმედო
გეგმით წავიდა იგი რუსეთში.

თავისი ნაქმარი გველობა და ბოროტება ჯე-
რეთ პატიომჟინს გადასცა და მერე ეკატერინეს, ამ-
ის შემდეგ, პატიომჟინი და ეკატერინეც იმერეთს
შორიდამ მგლურის თვალით უმზერდნენ და მუდამ
დღე უცდიდნენ სოლომოვ მეფის კაცების მისვლას
და დახმარების მისაცემად ოხოვნას, მაგრამ იმერე-
თის მეფეს კაცები არსად სჩანდნენ. მგლების ლო-
დინიც ლოდინათ რჩებოდა.

ბოლოს აი რა გამოირკვა თურმე ბატონიშვილების
მოწმობით: ოსმალებს იმერეთის წინააღმდეგ სულ
არაფერი სამზადისი ჰქონიათ, მათ არც იმერეთის და-
ჭერა სდომიათ, არც სოლომონ მეფის ტანჯვა, არც
ხალხის ხოცვა, არც ერთი რამ ბოროტებანი, მათ
სურვებიათ მარტოდ გენერალ სუხოტინის გაძევება
საქართველოდამ რუსის ჯარით, ამის მეტი სხვა არა-
ფერი. რაკი ეს ეგრეთი გენერალი თავის გველობით
წავიდა რუსეთში და თან წაიყვანს რუსის ჯარი,
ამიტომ ოსმალეთმაც იმერეთზე. გალაშქრებას თავი
დაანება, ამის შემდეგ, იმერეთში ოსმალთაგან უსა-
მართლოდ ქათამიც არავის აუფრენია, მეფე სოლო-
მონი ისეთ შიშში იყო ჩამარღნილი, რომ აღარ
იცოდა რა ექმნა და ოსმალეთიდგან ქუეყნის დარ-
ბევას მუდამ დღე ელოდა. ეს შიშიანობა სოლო-

მონ მეფემ ერეკლე მეფესაც შეატყობინა, ესეც მი-
ეცა ფიქრს.

ყოველივე ასეთ შიშიანობამ ხელი შეუწყო
ქართველთ შინათ გამცემთა განძრახვას და წადილს.
ამ გარემოების ხელის შეწყობამ გამოიწვია 1783 წ.
ტრაქტატის დაწერის სიადვილე და ყოველივე ის,
რაც კი მოხდა ამ ტრაქტატის დაწერის და მიღების
დროს. ამ გარემოებამ დაამშვიდეს პატიომეკინის და
ეკატერინეს გულიც.

იმავ ბატონიშვილების მოწმობით უნდა მოვი-
ყვანოთ შემდეგი.

ფოთში იმერეთის ჯარის მოსპობის ამბავმა დი-
დათ გაახარეს პატიომეკინი და ეკატერინეც. მიზეზი
ამ გახარებისა გახლდათ ის გარემოება, რომ რუსე-
თის გენერლების თვალში, მეფე ერეკლეს ჯარზე,
უფრო მეტად იმერეთის ჯარი სახელოვნებდა, ომ-
შიც ესენი უფრო ყოჩაღები იყვნენ და მარდი მე-
ომარი, ვიდრე მეფე ერეკლეს მხედრობა. იმერეთის
ჯარს იარაღიც უფრო უკეთესი ჰქონდათ თურმე,
ვინემც ქართლის ჯარს.

გარდა ასეთის ღირსების იმერეთის ჯარის და
სარდლების მოტყუილებაც უფრო ძნელი იყო, ვი-
დრე ქართლის, ყველა ეს ღირსება კიდევ ქართლის
მეფე შრეკლეს ყოველთვის იმ გზაზე აყენებდა, რომ
იგი ვერც ერთ საქმეს რუსეთან ვერ დაიჭირდა და
ვერ გადასწყვეტდა ისე, რომ მის შესახებ იმერეთის
მეგრეს სოლომონს არ შეჰქითხებოდა, სოლომონი

კიდევ ისეთი ფრთხილი კაცია, რომ იგი ერეკლე მეფეს ყოველთვის ატრთხილებს რუსებთან დაახლოებასა და კავშირში.

გრაფ ტოტლობერი და გენ. ლვოვიც ისე უსაბუთებდნენ ეკატერინეს, რომ სოლომონ მეფე მეტად საფრთხილო კაცია, ერეკლე მეფესთან ჩვენ ბევრჯერ გავაწყეთ საქმენიო, მაგრამ ბოლოს ერეკლე მეფე მას შეეკითხა და იმან კი უკელაცერი ჩაშალა და ჩვენი შრომაც დაიკარგაო. სუხოტინის წინაშე ასე აუწყეს: თუ ჩვენ გვინდა, რომ საქართველო ჩავიგდოთ ხელში, მაშინ ჯერეთ იმერთი უნდა მოვსპოთ და სოლომონ მეფე და მის მერე უნდა დავიწყოთ ცდა მეფე ერეკლეს დაყოლიებაზედო. მინამ სოლომონ მეფე ცოცხალია და იმერეთის სამეფო იარსებებს, მინამ მეფე ერეკლეს ჩვენ ვერ დავიახლოებთო.

ამიტომაც ჩვენ პირველად იმერეთი და სოლომონ მეფე უნდა მოვსპოთ და მერე უნდა ვიმეცადინოთ ჩვენის გეგმით.

ასე შეასრულეს ყოველივე და თავიანთის ვალობით, იმერეთის მეფის ჯარი გენ. სუხოტინს გააწყვეტინეს უღმერთოთ. მერე ისიც მოაწყეს, რომ მეფე სოლომონი ოსმალებთან საიდუმლოდ დააბეჭდეს, რომ სოლომონ მეფე თქვენ წინააღმდეგ რუსეთს დახმარებას სთხოვსო და ამ ხერხით უნდოდათ, რომ ოსმალნი აღეძრათ იმერეთის წინაღმდეგ და მერე იმერთი ოსმალოს მახვილით მოსპობილიყოს, მაგრამ ვერც ეს მოხდა და რუსებს წადილი ვერ შეუსრულდათ.

რაც სთქვა გენ. პატიომპინზა ეკატიონეს წინაშე და აცნობა, რომ სოლომონ მეფე მეტად ფრ-

თხილი კაცია და მისი მოტყუილება ერთობ ძნელია. ეს გამართლდა და შესრულდა ასე. რუსებმა ვერ მოატყუეს სოლომენ მეფე. როგორც იქმნა ხელში ჩაიგდეს მეფე ერეკლე, მერე ამისი შვილი გიორგი, გიორგის შვილს დავითს მისცეს რუსის გენერლობა და მის მავიერ ჩამოართვეს სამეფო. მოაწყვეს ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოც ხელში ჩაიგდეს და შეიერთეს. მაგრამ ვერა ქმნეს რა და ხელში ვერ ჩაიგდეს სოლომონ მეფე.

თვით უკანასკნელ დროს, რუსა გიორგი მეფემ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშირა, მაშინ რუსეთის მთავრობის დავალებით, გიორგი მეფემ სოლომონ მეფეს კაცები გაუზიავნა და ძველ ჩვეულებისამებრ სოლომონ მეფეს აცნობა ეს ამბავი სიხარულით, ესეც შეუთვალა, რომ „იქნება ოქვენც ისურვოთ რუსეთის შეერთება.“ სოლომონ მეფე გაკვირდა ამაზედ, ერთობ გვიან შეიტყო ეს განძრახვა გიორგი მეფისა, თორებ ამას იგი უსათუოდ ჩაშლიდა. სოლომონ მეფემ გიორგი მეფეს პასუხის ნაცვლად ესეთი ოქმულება შემოუფალა:

„ყალ წაღებულნი ხავს ეჭიდებიანო.“ ეს იყო სოლომონ მეფის პასუხი. თვით იმერთა ღიღებულნიც გაკვირდნენ, ამაზედ სოქვეს:

„ქართველნი სტყუვდებიანო, ერთმანეთს ღალატობენო და ვითარცა წყალწაღებული ხავს ეჭიდებიანო“ ამ შეერთების შესახებ მთელს იმერეთში უცბად გავარდა ხმა და იმერლებმაც დაიწყეს სინანულით ასე ლაპარაკი:

„განსყიდეს ვითარცა გამცემულთა, ქვეყანა და მოელიანო სასყიდელსა განსყიდულისასო“ ასე მოწმობს ამას ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი.

ასე და ამ გვარად, სოლომონ მეფემ გირიგი
მეფის განძრახვა ერთობ გვიან შეიტყო, თორებ ეს
უსათუოდ ჩაშლიდა საქართველოს შეერთებას რუ-
სეთის იმპერიასთან, თუნდ მიუხედავად მის, რომ ამ
დროს კოვალენსკი 10 ათასი ჯარის-კიცით იყო
ტფილისში შემოსული ახლად შეერთებული საქარ-
თველოს სამართავად, რუსეთმა სოლომონის დამორ-
ჩილებას არც შემდეგ დროს დააწება თავი, როცა
მათ ქართლ-კახეთის სამეფო დაიჭირეს, მაგრამ
მაინც ვერ მოატყუეს სოლომონ მეფე.

24044 ქართლ-კახეთის სამეფოს დაჭრის შემდეგ რუ-
სებს სადარღელად იმერეთთა და სოლომონ მეფე
გაუხდათ. სოლომონი ნებით არ მორჩილდებოდა
რუსებს, ვერც ფულით არყოილებდნენ და ვერც
სხვა გზით უხერხებდნენ დაჭრის ბოლოს რუსებმა
სოლომონ მეფეს ომი აუტეხეს, ერთს ომში რუსებს
სოლომონ მეფე ტყვეთაც ჩაუვარდათ, მეფე მაგრამ
შეიპყრეს და ტფილისში ჩამოიყვანეს და ცახეში
დაამწყვდიეს.

იქაც ჭკვიანმა და შორსშვერეტელმა მეფე სო-
ლომონმა მოახერხა ოსტატურად გაპარვა. ტფილი-
სიდან რუსებს გაექცა და ახალციხეში გარავიდა,
იქიდინ იმერეთში და დაიწყო იმერეთის მართვა-
გამგეობა. ამ გაქცევის გულისათვის ტფილისში
რამდენიმე კაცი დაახრჩეს და ოსარლოვის მეუღ-
ლეს ანნას სახლში ყარაულები დაუყენეს და გა-
ჩხრიკეს. ბოლოს დააპატიმრეს კიდეც, რადგანიც

თურმე ეს ქალი უჩარხავდა საჭმეს თავის სახლში
და ის უზიდავდა მეფე სოლომონს საჭმელს. სო-
ლომონ მეფე მარტო ამ ქალს ენდობოდა თურმე,
ტფილისში საჭმელების კეთებას ოუსებისაგან მოწამ-
ვლის შიში ჰქონდა.

ისარლოვის მეუღლეს მთავარმართველმა შენი-
შვნა მისცა, რომ შენ თუ იცოდი მეფე სოლომო-
ნის გაქცევა, რატომ არ შეგვატყობინევო.

ანნა ისარლოვმა მიუგო:

— მე არ ვიცოდი ეს ამბავი და მეფე სოლო-
მონი არც გვეტყოდა ჩვენ. მაგრამ მოვახსენებთ
იმასიც, რომ გინდ მეფე სოლომონს ეთქვა ჩვენ-
თვის, ჩვენ მაინც ჩვენ მფარველ მეფეს ვერ გავცემ-
დით, არავის არაფერს ვეტყოდით.

ასე და ამგვარათ 1770 წლიდან მოყოლებუ-
ლი, 1810 წლამდე რუსებმა ბევრჯერ დაჭირეს
სოლომონ მეფე და თვისი კბილები ჩაავლეს. მაგ-
რამ მოკვნეტით კი მაინც ვერ მოკვნიტეს.

ისიც მართალია, რომ იმერეთი რუსეთში 1810
წ. შეიერთა, მაგრამ სოლომონ მეფე მაინც ვერ
ივდეს ხელთ და ის ოსმალეთში გაექცათ და ტრა-
ზისონში მიიცვალა 1915 წ. ასე და ამგვარათ ეკა-
ტერინებს და პატომქინის მოსაზრება სოლომონ მე-
ფის შესახებ გამართლებული იქმნა და ეს ვმირი
კაცი რუსებმა ვერ დაიჭირეს.